# საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

## ბრძანება N 01-16/82

ქ. ბათუმი 14 ივლისი, 2023 წ.

„ერაზმუს +"- ის საგრანტო პროექტის „საქართველოს უნივერსიტეტებში მე-3 მისიის ხარისხის და აქტუალურობის გაძლიერება" (SQUARE) ბიუჯეტიდან ბსუ-ში **საპილოტე აქტივობის ფარგლებში განხორციელებული** „აბიტურიენტთა მომზადების მიზნობრივი პროგრამის განმახორციელებელი **პერსონალის შრომის ანაზღაურების გაცემის შესახებ**

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-34-ე მუხლების, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-15 მუხლის, ,,ბსუ-ს მიერ საზოგადოების განვითარებაში წვლილის შეტანასთან დაკავშირებით **მესამე მისიით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ"** ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 29 დეკემბრის N07-01/62 გადაწყვეტილების, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს კორესპონდენციის (MES 8 23 0000069508, 24/01/2023) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის **სამინისტროს** და **ბსუ-ს შორის 2023 წლის 26 იანვრის N04-07/18 ხელშეკრულების პირობების** (3.1.2 - უნივერსიტეტის ვალდებულებები) **შესრულების მიზნით,** „აბიტურიენტთა მომზადების მოკლევადიანი მიზნობრივი საგანმანათლებლო პროგრამების ქართულ ენასა და ლიტერატურაში, ინგლისურ ენასა და მათემატიკაში დამტკიცების შესახებ" **ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 27 იანვრის №01-02/12 ბრძანების,** ,,ხულოს და შუახევის საჯარო სკოლების მე-12 კლასის მოსწავლეებისათვის (აბიტურიენტების) ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის მოსამზადებელი მოკლევადიანი პროგრამების განხორციელებისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ" **ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 31 იანვრის N07-01/02 გადაწყვეტილების,** ,,აბიტურიენტთა მომზადების მოკლევადიანი მიზნობრივი საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის შრომის ანაზღაურების ოდენობისა და ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ" **ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2023 წლის 7 თებერვლის №01-10/12 ბრძანების (ცვლილება №01-10/66, 31.05.2023),** „აბიტურიენტთა მომზადების მოკლევადიან მიზნობრივ საგანმანათლებლო პროგრამებზე მსმენელთა ჩარიცხვის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 9 თებერვლის №01-08/39 ბრძანების (ცვლილება №01-08/441, 30.05.2023), „აბიტურიენტთა მომზადების მოკლევადიან მიზნობრივ საგანმანათლებლო პროგრამებზე განმახორციელებელი პერსონალი მოწვევის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 9 თებერვლის №01-04/13 ბრძანების (ცვლილება №01-04/87, 31.05.2023), „ერაზმუს +"- ის საგრანტო პროექტის „საქართველოს უნივერსიტეტებში მე -3 მისიის ხარისხის და აქტუალურობის გაძლიერება" (SQUARE) - პროექტის მენეჯერის, ბსუ-ს პროფესორ თამარ სირაძის სამსახურებრივი ბარათის (№689347, 14/06/2023წ.), ,,აბიტურიენტთა მომზადების მოკლევადიან მიზნობრივ საგანმანათლებლო პროგრამებზე პერსონალის მიერ 2023 წლის ივნისში შესრულებული სამუშაოს ანაზღაურების შესახებ" (ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2023 წლის 10

ივლისის №01-16/73 ბრძანების, ბსუ-ს აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახურის უფროსის (მთავარი ბუღალტერი) სამსახურებრივი ბარათის (№ 877481, **13/07/2023**) საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „ერაზმუს +"- ის საგრანტო პროექტის „საქართველოს უნივერსიტეტებში მე-3 მისიის ხარისხის და აქტუალურობის გაძლიერება" (SQUARE) **ბიუჯეტიდან გაიცეს 2000 ევროს ექვივალენტი ლარში, ამავე საგრანტო პროექტის საპილოტე აქტივობად შერჩეული** ბსუ-სა და აჭარის ა.რ. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ერთობლივი ,,ხულოსა და შუახევის საჯარო სკოლების მე-12 კლასის მოსწავლეებისათვის **(აბიტურიენტების)** ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის მოსამზადებელი მოკლევადიანი **მიზნობრივი პროგრამის" განმახორციელებელი პერსონალის მიერ 2023 წლის ივნისში შესრულებული სამუშაოს საათობრივი ანაზღაურებისათვის** - (ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2023 წლის 10 ივლისის №01-16/73 ბრძანება), კერძოდ:

ა) საგრანტო პროექტის ბიუჯეტიდან - 2000 ევრო (**5726 ლარის** ოდენობით; პროექტით გათვალისწინებული კურსის შესაბამისად - 1 ევრო =2,8630 ლარი);
ბ) ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2023 წლის 10 ივლისის №01-16/73 ბრძანების შესაბამისად პერსონალის შრომის ასანაზღაურებელი სხვა თანხა - **2299 ლარი** - პერსონალზე გაიცეს **ბსუ-ს 2023 წლის ბიუჯეტის ქვეპროგრამიდან** ,,უნივერსიტეტის საქმიანობის ადმინისტრაციული მხარდაჭერა" (ხარჯი - ,,შრომის ანაზღაურება - აბიტურიენტთა მოსამზადებელი მიზნობრივი მოკლევადიანი პროგრამის ფარგლებში").

2. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
ბრძანება დაეგზავნოს ბსუ–ს რექტორს, რექტორის მოადგილეს, „ერაზმუს +"- ის საგრანტო პროექტის „საქართველოს უნივერსიტეტებში მე -3 მისიის ხარისხის და აქტუალურობის გაძლიერება" (SQUARE) - პროექტის მენეჯერს, ბსუ-ს პროფესორ თამარ სირაძეს, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს.
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. №30).

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი მ. დიასამიძე